სრული გამარჯვება ლიდერთან

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 14 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “კარპატი” (ლვოვი) 3:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, ებრალიძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

“კარპატი”: რაკიტსკი (შვოინიცკი), ნიკიტიუკი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ლიხაჩოვი, დუბროვნი, დანილიუკი, კიკოტი, კოზინკევიჩი.

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

არასოდეს ასეთ მაღალ რანგში არ ჩამოსულან თბილისში ლვოველი ფეხბურთელები, ამიტომ არც ყოფილა ოდესმე ასეთ დიდი ინტერესი მათი ვიზიტის მიმართ. ლიდერი ლიდერია, დროებითად მიგაჩნია მისი მაღალი სატურნირო მდგომარეობა თუ არა, სულ ერთია, ანგარიში უნდა გაუწიო ჩემპიონატის სათავეში მყოფი გუნდის ავტორიტეტს და სიძლიერეს. ქულებს მას ტყუილუბრალოდ არავინ აჩუქებდა.

რითი, რა თვისებების წყალობით უნდა მიეღწია “კარპატის” ლიდერის პოზიციებამდე? რაშია მისი ძალა? ექსტა–კლასის ფეხბურთელები მის შემადგენლობაში არ გამოდიან, თუმცა რაკიტსკის, კოზინკევიჩის, კიკოტის, ბროვარსკისა და სხვათა სახელები საკმაოდაა ცნობილი საფეხბურთო სამყაროში. ესე იგი, გუნდის წარმატებათა სათავეები უპირველეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ კოლექტივში, მაღალ ფიზიკურ მომზადებასა და საბრძოლო განწყობაში, ნებისყოფის სიმტკიცეში.

ყოველივე ამას ხაზს ვუსვამ არა იმისთვის, რომ რაღაც ახალი საფეხბურთო ამოცანა ამოვხსნათ. “კარპატიმ” მართლაც ისე ითამაშა, როგორც მოველოდით და აქცენტიც ზემოჩამოთვლილ თვისებებზე გააკეთა, მაგრამ სასიამოვნო და სასიხარულო ისაა, რომ თბილისის “დინამომ” ახლა ის მონაცემები გამოავლინა, რომლებიც მას განვლილი ორი წლის მანძილზე აკლდა და მაღალ ტექნიკურ ოსტატობასთან, ტაქტიკურად გამართულ, მოფიქრებულ თამაშთან ერთად თავის გულშემატკივრებს შეუპოვარი, მებრძოლი კოლექტივის სახე აჩვენა. მატჩის არც ერთ პერიოდში, როცა ანგარიშიც არ იყო გახსნილი, ან როცა რაკიტსკისა და შვოინიცკის კარში უკვე სამი ბურთი გახლდათ მოთავსებული, თბილისელები არ წყვეტდნენ ბრძოლას, არც ერთ რგოლში არ აძლევდნენ საკუთარ თავს უფლებას მოდუნებულიყვნენ, შეენელებინათ ტემპი და დაეთმოთ მონაპოვარი.

ამ თვისებების უქონლობა მძიმე დაღად აჩნდა ჩვენს გუნდს შარშანაც და შარშანწინაც, იგი ბევრს კარგავდა სწორედ იმიტომ, რო მეტოქეებს ნებისყოფით ჩამოუვარდებოდა. ახლა ეს სერიოზული ნაკლი სწორდება.

ლიდერი ქულის ასაღებად იბრძოდა. ეს ნათელი გახდა პირველი წუთებიდანვე, როცა “კარპატიმ” კონტრიერიშებისთვის წინა ხაზზე მხოლოდ კოზინკევიჩი და ნაწილობრივ, დანილიუკი დატოვა, ხოლო მთავარი ძალების კონცენტრაცია ცენტრალურ ზონაში მოახდინა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქულის შენარჩუნების პრობლემები. ასეთ ვითარებაში დინამოელებს ძალიან გაუჭირდებოდათ ბრძოლა, გამარჯვებისადმი ასეთი სწრაფვა და საკუთარი ძალების რწმენა რომ არ გამოეჩინათ.

დიდი ანგარიშით გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა კოლექტივის თითოეულმა წევრმა, ყველმა მოთამაშემ – ვეტერანმაც და ახალგაზრდამაც. დამსახურება საერთოა, მაგრამ მაინც გვინდა გამოვყოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილი პარტნიორების მხარდამხარ არც ინდივიდუალური ოსტატობით, არც სპორტული შემართებით არავის ჩამორჩებოდნენ, მათი ასაკი კი უფლებას გვაძლევს რწმენა გამოვთქვათ, რომ გუნდს ეზრდება მაღალი კლასის ფეხბურთელთა საიმედო ცვლა.

წლევანდელ სეზონში საუკეთესოდ თამაშობს მუჯირი. იგი მატჩიდან მატჩამდე იზრდება, ყალიბდება, როგორც ძლიერი მცველი, რომელიც არც პირისპირ ბრძოლაში უთმობს რამეს უძლიერეს თავდამსხმელებს, ზონურ ურთიერთმოქმედებაშიც საჭირო სიმაღლეზეა და იერიშის დროსაც წინა ხაზების მოთამაშეთა აქტიური მხარდამჭერია.

შესანიშნავად შეეწყო ანსამბლს ჩივაძე – თანამედროვე სტილის, კომბინაციური, მოიერიშე ნახევარმცველი. მისი სრულყოფა, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა, მაგრამ ამ ეტაპზე ყველასთვის ცხადია, რომ ჩივაძემ ღირსეულად დაიკავა ადგილი თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში.

განვლილი მატჩის ნამდვილი გმირი იყო დარასელია, უნივერსალური ტიპის ფეხბურთელი, რომელიც ორიოდე წლის წინათ ოჩამჩირის "ამირანში" გამოდიოდა პერსპექტიული მოთამაშის მარკით, ახლა კი დიდ ძალად იქცა "დინამოს" გუნდში, მხარს უბამს თავდამსხმელებსაც და ნახევარმცველებსაც და, ეჭვი არაა, იმ გამოჩენილ ოსტატთა პლეადას შეუერთდება, რომლებიც მუდამ ამშვენებდნენ თბილისის "დინამოს".

მატჩის "სტენოგრაფიულ ჩანაწერში" პირველი სიტყვა სწორედ დარასელიამ თქვა. 37–ე წუთზე მან მიიღო ებრალიძის შორეული გადაცემა, 4–5 მეტოქე მცველთან უმძიმეს ინდივიდუალურ ბრძოლაში გაიმარჯვა და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.

შესვენების შემდეგ, 58–ე წუთზე, დარასელიამ კარის წინ მიაწოდა ყიფიანს, ამ უკანასკნელმა რთული ტრიუკი შეასრულა და წინ გამოსულ შვოინიცკის გადაუგდო ბურთი – 2:0.

მესამე გოლი გუცაევის ფლანგური გარღვევის შედეგი იყო. მის წინააღმდეგ 68–ე წუთზე უხეშად ითამაშა "კარპატის" ორმა მცველმა და მსაჯმა 11–მეტრიანის წერტილზე აჩვენა. პენალტი ზუსტად დაატყა ყიფიანმა – 3:0.

ასეთი ანგარიშით გამარჯვება ლიდერთან მით უფრო სასიხარულოა, რომ არც 1974, არც 1975 წელს თბილისის "დინამოს" ჩემპიონატებში არც ერთ მოგება არ ჰქონია დიდი ანგარიშით. ვფიქრობთ, "ყინული ლღვება".

ბ. ქორქია.
"ლელო", 16 მაისი, 1976 წ.